

გაეროს ეროვნული სააგენტოს აჭარის რეგიონალური ოფისის მიხედვით
დღეს მოსალოდნელია თოვლქუაბი, მთაში - თოვა, დასავლეთის მიმართულებით ქარი - 10-15 მეტრი წაშვით, ტემპერატურა სანაპირო რაიონებში - 3-8, შიდა მთიან რაიონებში - 0-5 გრადუსი სითბო, მაღალ მთაში - 0-5 გრადუსი ყინვა.
ზღვის წყლის ტემპერატურა 9 გრადუსია, ატმოსფერული წნევა - 758 მილიმეტრი.
მომდევნო 2 დღეს მოსალოდნელია დროგამოშვებით თოვა.

კრიკოსი N 101

საქართველოს მორიგი გამარჯვება 2008 წლის აპრილის ომის საქმეზე, ახლა - კაბაშვილი და წარდგენილი ასეულობით მტკიცებულება.

ევროკავშირის ლიდერებმა ვერსალის შეხვედრაზე მხარი დაუჭირეს უკრაინის, საქართველოს და მოლდოვის ევროკავშირში გაწევრიანების განაცხადს და საერთაშორისო ევროკომისიას გადასცეს კანდიდატის სტატუსის მინიჭებაზე მოსაზრების/შეფასების მოსამზადებლად, - ამის შესახებ პარლამენტის არჩილ თალაკვაძემ განაცხადა. 10 მარტს ვერსალში ევროკავშირის ლიდერები შეიკრიბნენ, სადაც უკრაინაში მიმდინარე მოვლენებზე იმსჯელეს, შეხვედრის შემდეგ კი ზემოაღნიშნული შინაარსის ერთობლივი განცხადება გაავრცელეს.

2008 წლის აგვისტოს ომის საქმეზე სტრასბურგის სასამართლოს შემდეგ, საქართველომ მორიგი გამარჯვება ჰააგის სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოში მოიპოვა. ამ გადაწყვეტილებით კიდევ ერთხელ დასტურდება, რომ საქართველოს მოსახლეობის მიმართ აგვისტოს ომის დროს ჩადენილი მძიმე დარღვევები შეერაცხება რუსეთის ფედერაციისა და სეპარატისტული რეჟიმების კონკრეტულ წარმომადგენლებს, ამის შესახებ ინფორმაციას საქართველოს იუსტიციის სამინისტრო ავრცელებს.



მოსახლეობის უკანონო დაკავების, არაადამიანური მოპყრობის, მძევლად აყვანისა და შემდგომი უკანონო გადაადგილების ფაქტებს აღსანიშნავია, რომ სტრასბურგის სასამართლოს მსგავსად, ჰააგის სასამართლოს პროკურორიც პირდაპირ აღნიშნავს, რომ საქართველოს ტერიტორიები ოკუპირებულია რუსეთის მიერ.

2016 წლიდან საქართველოს მთავრობა, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს კოორდინაციით, გენერალური პროკურატურისა და ევლეა შესაბამისი უწყების ჩართულობით, აქტიურად თანამშრომლობდა ჰააგის სასამართლოს პროკურორის ოფისთან და აწვდიდა გამოძიების ჯეროვანი წარმართვისათვის საჭირო სრულყოფილ ინფორმაციასა და მტკიცებულებებს. პროკურორის ოფისს მიეწოდა, სხვებს შორის, სტრასბურგის სასამართლოში აგვისტოს ომის საქმის მოსაგებად შეგროვებული და წარდგენილი ასეულობით მტკიცებულება.

ჰააგის სასამართლოს პროკურორის ოფისის ახლანდელი გადაწყვეტილება საქართველოს მთავრობის მიერ ზემოაღნიშნული მტკიცებულებების წარდგენის შედეგი და სტრასბურგის ისტორიული გამარჯვების ლოგიკური გაგრძელებაა.

საქართველოს მთავრობა გაავრცელებს აქტიურ თანამშრომლობას ჰააგის სასამართლოსთან, რათა საქართველოს მოსახლეობის მიმართ ჩადენილ ყველა სხვა დანაშაულზე აღსრულდეს საერთაშორისო მართლმსაჯულება.

რაც შეეხება დაპატიმრების ორდერების აღსრულებას, რომის სტატუსის (სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს დამფუძნებელი დოკუმენტის) ყველა წევრ-სახელმწიფოს აქვს ვალდებულება, რომ ითანამშრომლოს ჰააგის სასამართლოსთან პირის დაკავების და სასამართლოსთვის გადაცემის კუთხით. ამ მიზნით საქართველო სრულად ითანამშრომლებს სასამართლოსთან, რათა დამნაშავე პირები წარსდგენ საერთაშორისო მართლმსაჯულების წინაშე.

აგვისტოს ომის საქმეზე სტრასბურგის სასამართლოს 2021 წლის 21 იანვრის ისტორიულ გადაწყვეტილებასთან ერთად, ჰააგის სასამართლოს ეს გადაწყვეტილება წარმოადგენს საერთაშორისო სასამართლოებში ქართული მხარის კიდევ ერთ მნიშვნელოვან გამარჯვებას რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ და ადასტურებს, რომ 2008 წლის ომის დროს ქართველი სამხედროები მოქმედებდნენ საერთაშორისო სამართლის ნორმების დაცვით.

ანა ჩხეიძე

აჭარის უმაღლესი საბჭოს საკანონმდებლო ინიციატივა - პარლამენტში

საქართველოს პარლამენტის რეგიონული პოლიტიკისა და თვითმმართველობის კომიტეტს აჭარის უმაღლესი საბჭოს საკანონმდებლო ინიციატივა აჭარის უმაღლესი საბჭოს საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე ლადო მგალობლიშვილმა წარუდგინა. საქართველოს ორგანული კანონის პროექტი - „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე“, კომიტეტმა პირველი მოსმენით განიხილა.



„კანონის ზემოაღნიშნული ჩანაწერი, საკანონმდებლო ინიციატივის მომზადებისას, მის

ავტორს ავალდებულებს დასაინიცირებელი კანონპროექტის ფინანსური გავლენის შეფასებას საშუალოვადიან პერიოდში (კანონპროექტის ამოქმედების წელი და შემდგომი 3 წელი) მხოლოდ სახელმწიფო ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე. გამომდინარე იქიდან, რომ საქართველოში არსებობს კიდევ ერთი დონის - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტი, მიზანშეწონილია, თითოეული კანონპროექტის განმარტებით ბარათში აღნიშნული იყოს, თუ რა გავლენას მოახდენს კონკრეტული კანონპროექტი ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე“, - აღნიშნა ლადო მგალობლიშვილმა.

ანა ჩხეიძე

გამოიწერეთ გაზეთი «აჭარა»!

ვისაც სურს მიიღოს მაქსიმალურად ზუსტი ინფორმაცია და ობიექტური ანალიზი არა მარტო ჩვენი რეგიონის, სრულიად საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ცხოვრების მთავარი მოვლენების შესახებ, შესაბამისი თხოვნით მიმართოს სადისტრიბუციო ორგანიზაციას «ბათუმი ექსპრესი» (ქ. ბათუმი, ჭავჭავაძის ქ. №90, ტელ: 555 86 12 21). მისი დახმარებით თქვენს მისამართზე მიიღებთ გაზეთ «აჭარის» ყოველ მომდევნო ნომერს. გამოიწერეთ და ითანამშრომლეთ გაზეთ «აჭარასთან!» ჩვენთვის ძვირფასია თითოეული თქვენგანის აზრი! წამოჭრილი პრობლემების შემთხვევაში დაგვიკავშირდით: 577 20 43 55.





აღმოსავლეთის შიშისთვის ალტერნატივ-იზოლაციის ბიძინა კულუმბაშვილი პასუხობდა

ნათია შუბაძე 27 48 93

COVID-19-ის ვაქცინაციის შესახებ საინფორმაციო შეხვედრა გაიმართა ორთაბათუმის მოსახლეობასთან

ადგილობრივების შეკითხვებს აღერგო-ოლოგი-იმუნოლოგი ბიძინა კულუმბაშვილი პასუხობდა. პარალელურად, გამსვლელი ბრიგადების საშუალებით, მსურველებს შესაძლებლობა ჰქონდათ, ადგილზე ჩაეტარებინათ ვაქცინაცია.

შეხვედრებს აჭარის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილე ზურაბ თენიშვილი და ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

შეხვედრები პროექტის - „ვაქცინაციის საინფორმაციო კამპანია“ ფარგლებში გაიმართა. პროექტს მხარს უჭერს აჭარის არჯანმთეთლოსა და სოციალური დაცვის სამინისტრო და „საქართველოს დია სპორტ“.



ბიძინა კულუმბაშვილი (მეორე მხრიდან) აჭარის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილე ზურაბ თენიშვილს (მესამე მხრიდან) და ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებს შეხვედრის დროს.

ქვინაციის წახალისების პროგრამა მარტო-შიც გრძელდება.

200-ლარიან ერთჯერად დანამატს ავტომატურად მიიღებს 50 წლის და მეტი ასაკის ყველა ის მოქალაქე, ვინც 2022 წლის 31 მარტის ჩათვლით COVID-19-ის საწინააღმდეგო ვაქცინის პირველი დოზით აიცრება.

ამავე ასაკობრივი ჯგუფის პირები „ბუსტერ“ დოზით აცრის შემთხვევაში 100 ლარს მიიღებენ.

ვაქცინაციისთვის ვიზიტის დაჯავშნა შესაძლებელია ელექტრონულ პორტალზე - <https://booking.moh.gov.ge/>

აცრა შესაძლებელია წინასწარი რეგისტრაციის გარეშეც.

COVID-19-ის ვაქცინაციაზე რეგისტრაციისთან დაკავშირებული კონსულტაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ ნომერზე 144 და 15 22.

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოქალაქეთა მხარდაჭერა გრძელდება

ნათია შუბაძე 27 48 93

აჭარის ჯანდაცვის სამინისტრომ 2022 წელს გაზარდა „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და ხანდაზმულ პირთა გადაადგილების საშუალებებით უზრუნველყოფის“ პროგრამის ბიუჯეტი და განახორციელა რიგი ცვლილებები

პროგრამის დაემატა პედაგოგიური სავარძელ-ეტლები, რომელთა ღირებულება განისაზღვრა 2650 ლარით. ამავე პროგრამის ფარგლებში, გაიზარდა ელექტრო სავარძელ-ეტლის დაფინანსება 5 053 ლარამდე, ხოლო მექანიკური სავარძელ-ეტლის დაფინანსება 760 ლარამდე.

ამავე პროგრამის ფარგლებში, აჭარის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრმა ნინო ნიჟარაძემ და ქალაქ ბათუმის მერმა არჩილ ჩიქოვანმა ელექტრო სავარძელ-ეტლი გადასცეს ბათუმში მცხოვრებ ჯიშურ ბერიძეს.

საშუალებებით. მათ შორის, ელექტრო და მექანიკური სავარძელ-ეტლებით. ძვირადღირებული ელექტროეტლების დაფინანსება სამინისტრომ რამდენიმე წლის წინ დაიწყო და უკვე გაცემულია 100-მდე ასეთი სახის სავარძელ-ეტლი. დამხმარე საშუალებებით უზრუნველყოფის გარდა, სამინისტრო შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს სთავაზობს სხვადასხვა სახის სამედიცინო სერვისს, მათ შორის სმენის აპარატებით უზრუნველყოფას, სამედიცინო რეაბილიტაციას, მაღალტექნოლოგიურ დიაგნოსტიკურ კვლევებს, ისეთი ოპერაციების დაფინანსებას, რომელიც არ იფარება საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით და ასევე, სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული ქირურგიული სერვისების თანაგადახდას. მინდა აღვნიშნო, რომ ჩვენი ყველა პროგრამა მორგებულია ამ სტატუსის მქონე პირებზე, ამიტომ საჭიროების შემთხვევაში, ვთხოვ მათ, მოემართონ, -



ჯიშურ ბერიძე 2008 წელს ავტოსაზხაო შემთხვევის შედეგად დაზარდა და მას შემდეგ ეტლით მოსარგებლდა. როგორც ბერიძის ოჯახმა აღნიშნა, ჯიშური დღემდე მექანიკურ ეტლს იყენებდა, მისი სოციალური ადაპტაციისთვის ელექტრო სავარძელ-ეტლით სარგებლობა მნიშვნელოვანია, ამიტომ პროგრამაში ჩასართავად აჭარის ჯანდაცვის სამინისტროს მიმართეს.

- სამინისტრო, სხვადასხვა პროგრამის ფარგლებში, შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე მოქალაქეებს უზრუნველყოფს გადაადგილების

აღნიშნა მინისტრმა ნინო ნიჟარაძემ. ბათუმის მერის არჩილ ჩიქოვანის განმარტებით, „ქალაქ ბათუმის მერია აგრძელებს განსაკუთრებული საჭიროების მქონე მოქალაქეთა მხარდაჭერას როგორც პროგრამულად, ისე ინფრასტრუქტურულად, ეს იქნება მუნიციპალური ტრანსპორტის ადაპტირების პროცესის გაუმჯობესება თუ სხვა“.

მიმდინარე წელს „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და ხანდაზმულ პირთა გადაადგილების საშუალებებით უზრუნველყოფის“ პროგრამით 200-მდე ბენეფიციარი ისარგებლებს. პროგრამის ბიუჯეტი 201 730 ლარია.

ზელენსკი ახალი სანქციების აუსილებლობაზე საუბრობს

უკრაინის პრეზიდენტმა ვოლოდიმირ ზელენსკიმ გერმანულ გამოცემა Die Zeit-თან ინტერვიუში განაცხადა, რომ ახალი სანქციები აუცილებელია შესაძლო რუსული აგრესიისგან სხვა ქვეყნების დასაცავად. „შემდეგი სანქციები უნდა ეხებოდეს გაზს, ნავთობს და ნავთობპროდუქტებს. მსოფლიოს საპორტო ქალაქები უნდა ჩაიკეტოს რუსეთის გემებისთვის, სატვირთო

გადაზიდვები უნდა შეწყდეს და „სვიფტში“ არავითარი გამოწვევის რუსეთის არც ერთი ბანკისთვის არ უნდა დაუშვან. ეს ყველაფერი აუცილებლად უნდა გაკეთდეს, რათა რუსული აგრესიისგან დავიცვათ პოლონეთი, ბალტიისპირეთი, მოლდოვა, საქართველო და სხვა ქვეყნები“, - განაცხადა ზელენსკიმ.



ამირან ბურიძე

რუსულ ბანკებს საქართველოში შეზღუდვა დაუნესლათ, ლვინის ბასალბისთვის კი ახალ ბაზრებს ეძებენ

ნათია შუბაძე 27 48 93

საქართველოს საბანკო ასოციაციამ უარყო რუსულ მედიასაშუალებებში გავრცელებული ინფორმაცია, თითქოს რუსულ ბანკებს საქართველოში შეზღუდვა დაუნესლათ

რუსეთის მიერ უკრაინაში „სპეცოპერაციის“ დაწყებასთან დაკავშირებული სანქციების გამო, საქართველოში მარტიდან VISA და Mastercard-ის პარათების მოქმედება შეჩერდა.



„საქართველოში არსებული კომერციული ბანკები განუხრელად მოქმედებენ საერთაშორისო რეზოლუციებით განსაზღვრული სტანდარტების და სანქციების შესაბამისად“, - ნათქვამია ასოციაციის განცხადებაში. იქვე აღნიშნულია, რომ საქართველოს საბანკო სექტორის სიდიურის და მდგრადობის ერთ-ერთი განმაპირობებელი სწორედ საერთაშორისო ნორმების, პრაქტიკებისა და სტანდარტების განუხრელი დაცვაა.

ევროკავშირმა რამდენიმე რუსული ბანკის წინააღმდეგ სანქციები დააწესა, მათ შორის არის გადახდების საერთაშორისო სისტემა SWIFT-იდან გათიშვა. სანქციები შეეხო შემდეგ ბანკებს: VTB, „სბურბანკი“, „ოტკრიტიე“, „ნოვიკომბანკი“, „პრომსვიაზბანკი“, „სოვკომბანკი“, BM-Bank-ი, „საროებიზნესბანკი“, RGS Bank-ი.

„რაც შეეხება რუსეთში ღვინის ექსპორტს, საქართველოს ხელისუფლება აქტიურად მუშაობს ქართული პროდუქციის, მათ შორის, ღვინის ბაზრების წვდომის გაფართოებაზე“, - განაცხადა გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრმა ოთარ შამუგამ.

2021 წელს საქართველოსა და რუსეთს შორის ტვირთბრუნვამ 1,6 მლრდ დოლარი შეადგინა. საქართველოდან რუსეთში ძირითადად გადის: ფეროშენადნობები, ღვინო, მინერალური წყლები, სპირტიანი სასმელები, ხილი.

„ჩვენ ბაზრების დივერსიფიცირებაზე წლებია აქტიურად ვმუშაობთ. ღვინის ბაზრის განვითარების მიმართულებით ჩვენი წარმომადგენლები ამჟამად ამერიკაში იმყოფებიან და აქტიურად მუშაობენ ამ ბაზრის კიდევ უფრო ათვისებაზე. ასევე აქტიურად ვმუშაობთ პოპულარიზაციისა და მარკეტინგული ღონისძიებების მიმართულებით ევროკავშირის ქვეყნებთან, ჩინეთთან და სხვა პრიორიტეტულ ბაზრებთან“, - განაცხადა შამუგამ. მისი თქმით, შეხვედრები უკვე გაიმართა მეღვინეებთან და ღვინის ექსპორტორ კომპანიებთან, სადაც აღნიშნულ ქვეყნებში აქტივობის გაზრდის საკითხები განიხილა.

2021 წელს საქართველოდან 62 ქვეყანაში 107 მლნ ბოთლი (0,75 ლიტრი) ღვინო გავიდა, რაც რეკორდული მაჩვენებელია.

სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინფორმაციით, ქართული ღვინის იმპორტის ქვეყნებს შორის პირველ ადგილზე რუსეთია, სადაც 62 მლნ ბოთლზე მეტი ღვინო - ექსპორტის საერთო მოცულობის 57% - გავიდა.

თავისუფლების ფასი – დასავლეთისთვის

ლაშა ხომეიბი 593 50 82 69

ისტორიას არ ახსოვს ასეთი მძლავრი ეკონომიკური სანქციები რუსეთის მიმართ...



აუარესებს მათ სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას, რადგან ხელისუფლება...

ლება. ჩვენი მხრიდან სანქცია იქნებოდა სიმბოლური აქტი...

ექსპერტები აცხადებენ, რომ თუ დასავლეთი რუსეთისგან ნავთობისა და გაზის შეწყვეტას შეაჩერებს...

რა თქმა უნდა, ნავთობის გასაღების ბაზრების დაკარგვა რუსეთს ძალიან დიდ დარტყმას მიაყენებს...

დაწესებული სანქციების მიზანი რუსეთის აგრესიის შეჩერებაა...

რუსული აგრესია უკრაინის მიმართ ძალიან დიდია. დასავლური სამყარო ყველაფერს აკეთებს...

ჩვენი ქვეყანა ტურისტებზე დამოკიდებულია და ამ მიმართულებით საჭიროა თანმიმდევრულობა და გონივრულობა...

ქის ჯიბეზე. რუსეთი ვეღარ მიიღებს ნედლეულს პროდუქციის საწარმოებლად...

დასავლეთის ახალი სანქციების შავ სიაში გავლენისას ოლიგარქები, მსხვილი ბიზნესმენები...

შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ეს იქნება ოლიგარქული სისტემის დაცემის დასაწყისი...

გუნდავთ, რომ რუსეთის ბაზარი გაგვინანანა მეგაბრუნდება... არა, არა, არა...

რუსეთის ბაზრიდან ტრანსნაციონალური კომპანიების გასვლა...

თქვენი აზრით, ელოდა რუსეთის ელიტა ამ მასშტაბის ეკონომიკურ სანქციებს?

ჩემი აზრით, ამ მასშტაბის სანქციებს არ ელოდა. რა თქმა უნდა, რუსეთის ხელისუფლება მზად იქნებოდა...

რუსეთის ხელისუფლებას, არამედ რუსეთის თითოეულ მოქალაქეს. ეს პროცესი აისახება მათ ყოველდღიურ ცხოვრებაზე...

აქედან გამომდინარე, შესაძლებელია ვივარაუდოთ, გადაჭრით ვერ ვიტყვი, რომ რუსეთი სახელმწიფო დეფოლტს გამოაცხადებს...

აზრთა სხვაობა გამოიწვია იმან, რომ საქართველოს ხელისუფლება რუსეთის მიმართ დაწესებულ სანქციებს არ შეუერთდა...

ეს საკითხი ძალიან რთული და საპასუხისმგებლოა, აუცილებელია ვიმოქმედოთ გონივრულად და მეტი სიფრთხილით...

დაბოლოს, რა გავლენა ექნება ამ ომის რეზულტატს საქართველოს? ეს ომი არის ბოროტების იმპერიისა და ცივილიზაციის დაპირისპირება...

ექსპერტთა დიდი ნაწილი ამბობს, რომ საქართველოს ორი გზა აქვს...

მესამე გზად შეიძლება განვიხილოთ სამხედრო ნეიტრალიტეტი, მაგრამ ეს რუსეთის წისქვილზე წყლის დასხმა მგონია...

დაბოლოს, რა გავლენა ექნება ამ ომის რეზულტატს საქართველოს? ეს ომი არის ბოროტების იმპერიისა და ცივილიზაციის დაპირისპირება...

რუსეთი კიევი შეტევაზე ამზადებს, ამის შესახებ დიდი ბრიტანეთის თავდაცვის სამინისტროში განაცხადეს...

მომხადა ია შველიძე

